

## საქართველოს კანონი

# საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998, გვ. 31) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. დაუშვებელია ექვმიტანილის 48 საათზე მეტი ხნით დაკავება. პირის დაპატიმრება ან ექსპერტიზისათვის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება შეიძლება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით ან სასამართლოს განჩინებით (დადგენილებით). მოსამართლე, სასამართლო, პროკურორი და გამოძიებელი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ უკანონოდ დაკავებული, დაპატიმრებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზე ზღუდული პირი.”

2. მე-16 მუხლის მე-4-მე-5 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“4. საქმის განხილვისას სასამართლოს (მოსამართლის) განჩინებით (დადგენილებით) შეიძლება ჩატარდეს მთლიანად ან ნაწილობრივ დახურული სასამართლო სხდომა: სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით; პირადი მიმოწერის და სატელეგრაფო შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამის თანახმა არ არის პირი; განსასჯელის სამართალში მიცემისას. მთლიანად ან ნაწილობრივ დახურულ სასამართლო სხდომაზე მხარის მოთხოვნით განიხილება აგრეთვე: არასრულწლოვნის დანაშაულის საქმე, სქესობრივი დანაშაულის და სხვა კატეგორიის საქმეები, რათა არ განხორციელდეს ცნობები საქმეში მონაწილე პირის ინტიმური ან პირადი ცხოვრების საიდუმლოების შესახებ, როდესაც ამას მოითხოვს პროცესის მონაწილის და მისი ოჯახის წევრების ან ახლო ნათესავების პირადი უსაფრთხოების დაცვა.

5. დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება აგრეთვე საგამოძიებო ორგანოების წარვინება (შუამდგომლობა) სასამართლო ბრძანებისა და დადგენილების გამოთხოვნის შესახებ (გარდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემთხვევისა) და სამედიცინო ხასიათის იძულებითი ღონისძიების გამოყენების საკითხი.”

3. 24-ე მუხლის მე-5<sup>1</sup> და მე-5<sup>2</sup> ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5<sup>1</sup>. ბრალდების წარდგენისათვის საკმარის მტკიცებულებათა შეკრების შემდეგ, თუ გამოძიებელი პროკურორის თანხმობით ან პროკურორი არ გამოიტანს დადგენილებას პირის ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ, დაზარალებულს, მის წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც ხდება მტკიცებულებათა შეკრება, უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეიტანოს საჩივარი და მოითხოვოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

5<sup>2</sup>. ბრალდებულს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილების გადაცემიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შეიტანოს საჩივარი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიარუების თაობაზე. საჩივრის დაკმაყოფილება იწვევს ყველა იმ მტკიცებულების უკანონოდ ცნობას, რომლებიც მოპოვებულ იქნა წინასწარი გამოძიების დროს მას შემდეგ, რაც შეიქმნა პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების საკმარისი საფუძველი.”

4. 24-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-5<sup>3</sup> ნაწილი:

“5<sup>3</sup>. ამ მუხლის მე-5<sup>1</sup> - მე-5<sup>2</sup> ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში რაიონულ (საქალაქო) სასამართლო საჩივარს იხილავს ამ კოდექსის 242-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება

5. 28-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პირს არ მოუღწევია იმ ასაკისათვის, რომლიდანაც დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე-38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“

ბ) მე-4-მე-5 ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებები გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამოავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი იგივე წესი გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 36-ე-38-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“

5. თუ ამ მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ და „ა“ ქვეპუნქტებში აღნიშნული გარემოებები გამოვლინდება სასამართლო განხილვის სტადიაზე, სასამართლო ამოავრებს საქმის განხილვას და გამოაქვს გამამართლებელი განაჩენი, ამასთანავე, განსასჯელს ათავისუფლებს სასჯელის მოხდისაგან.“

6. 46-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კოდექსით დადგენილი წესით განსასჯელის სამართალში მიცემის საკითხს განსჯადობის მიხედვით წვევტენ; რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს კოდექსია.“

7. 48-ე მუხლის:

ა) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასა და სისხლის სამართლებრივი იბულების ღონისძიებებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლო ბრძანების გაყება, გამოძიებლისა და პროკურორის უკანონო მოქმედებების გამო ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი საჩივრების გადაწყვეტა, გამოძიების ორგანიზებისა და პროკურორის მიერ უარყოფილი შუამდგომლობების განხილვა იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება წინასწარი გამოძიება, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

ბ) მე-5' ნაწილი ამოღებულ იქნეს.

8. 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაზარალებულს ცრუ ჩვენების მიცემისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი დევნა ამ საფუძველით შეიძლება დაიწყოს მხოლოდ განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.“

9. 72-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ არსებობს საფუძველი ეჭვისათვის, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ ეს არ არის საკმარისი მისთვის ბრალდების წასაყენებლად, გამოძიებელი პროკურორის იანხმობით ან პროკურორი ცნობს მას ეჭვმიტანილად, რის შესახებაც გამოაქვს დადგენილება, თუ ეჭვმიტანილი დაკავებული არ არის, მას უნდა წაყენოს ბრალდება არა უგვიანეს 30 დღისა, ამ ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას ბრალდება არ წაყენა, დადგენილება მისი ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ უქმდება, ეჭვმიტანილი, რომელიც დაკავებული არ არის, სარგებლობს ამ კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ყველა უფლებით, გარდა ამავე ნაწილის „ა“, „ბ“, „ვ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებში მოითხოვნილი უფლებებისა, აგრეთვე უფლება აქვს მისი ეჭვმიტანილად ცნობისთანავე ხელზე მიიღოს ეჭვმიტანილად ცნობის შესახებ დადგენილების ასლი.“

10. 75-ე მუხლის:

ა) მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დანაშაულის ერთი და იმავე შემთხვევის გამო პირი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა შეიძლება მიცემული იყოს არა უმეტეს 12 თვისა, თუ ამ ვადის

თუ პირის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლის დევნა, შემთხვევაში. დაუშვებელია მომავალში მის წარუდგინოს იგივე ბრალდება."

ბ) მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"5. ამ მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ ჩაითვლება ის დრო, განმავლობაშიც ბრალდებულის მიმართ შეუძლებელი იყო საგამოძიებო და სხვა საპროცესუალური მოქმედებების ჩატარება მისი ავადმყოფობის გამო (რაც დადასტურებული უნდა იყოს შესაბამის სამედიცინო დასკვნით), ანდა ეძალებოდა გამოძიებას და მის მიმართ გამოცხადებული იყო ძებნა, ან თავს არიდებდა გამოძიებას, ანდა მას იცავდა იმუნიტეტი."

11. 84-ე მუხლის მე-3 ნაწილის:

ა) „ნ-ო“ ქვეუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6) გაასაჩივროს პროკურორთან, ხოლო საჩივრის უარყოფის შემთხვევაში ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და წესით - გამოძიების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გამოძიებისას პროკურორის მოქმედება და დადგენილება, რომლებიც, მისი აზრით, არღვევს ექვმიტანილისა და ბრალდებულის დაცვის უფლებას;

ბ) გამოვიდეს სასამართლოში გამოძიების, პროკურორის აქტებთან დაკავშირებით მის მიერ. აგრეთვე ექვმიტანილისა და ბრალდებულის მიერ შეტანილი საჩივრების განხილვისას;

ბ) „ს“ ქვეუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) მიიღოს ბრალდებულად სისხლის სამართლის მსჯელობაში მიცემის შესახებ დადგენილების, განსასჯელის - სამართალში მიცემის შესახებ დადგენილების, საბრალდებო დასკვნის, განაჩენის, სისხლის სამართლებრივი დევნის ანდა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ განჩინების (დადგენილების) ასლები, აგრეთვე საპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოების განაჩენის და განჩინების ასლები, იმის მიუხედავად, რომ ეს ასლები გადაეცა ბრალდებულს (განსასჯელს);"

12. 95-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ექვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის, მსჯავრდებულის ახლო ნათესავს - თუ იგი არ დათანხმდება მისცეს ჩვენება, როგორც ბრალდების მოწმე;"

13. 102-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის, ამოღების ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობისა და შედეგების დასადასტურებლად. აგრეთვე ამ კოდექსით პირდაპირ დადგენილ შემთხვევაში. ამ ნაწილში გათვალისწინებული საგამოძიებო მოქმედებას ჩატარებაზე გამოძიებელი ან პროკურორი ვალდებულია დამსწრის მოწვევის უუკლებს ამ მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი შეზღუდვის გათვალისწინებით განუმარტოს ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში მითითებულ პირებს."

14. 108-ე მუხლის მე-10 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. განცხადებული აცილების საკითხზე პროკურორს, მოსამართლეს გამოაქვს დადგენილება, ხოლო სასამართლოს - განჩინება."

15. 140-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროკურორის ან პროკურორის თანხმობით გამოძიების შეამდგომლობით, მოსამართლე წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით გასცემს ბრძანებას დამატებითი შინაპატიმრობის და მათი ვადის გაგრძელების, ბრალდებულის პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემის, გირაოს ან აღკვეთის სხვა ღონისძიებების, ბრალდებულის თანარდებობიდან გადაყენების, ქონებზე ყადაღის დადების, ექვმიტანილის, ბრალდებულის, სხვა პირის სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისთვის მოთავსებისა და ამ კოდექსით გათვალისწინებული საპროცესო სამართლებრივი იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების, აღკვეთის ღონისძიებათა შეცვლის შესახებ, აგრეთვე დადგენას - აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან, შეცვლასთან ან აღკვეთი ღონისძიების სახით შეფორდებული პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაცემული ბრძანების გაუქმების შესახებ."

19. საქართველოს ტერიტორიაზე დაქვემდებარებული უცხო სახელმწიფოს მიერ ძვნილი ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის მიმართ დეკლარაციის ღონისძიების სახით დაპატიმრების შეფარდების საკითხის გადასწავლად პროკურორს დაკავების ადგილის მიხედვით რაიონულ სასამართლოს წარუდგენს უცხო სახელმწიფოს კომპეტენტური პირის (ორგანოს) მიერ ვაცემულ ბრძანებას დაპატიმრების შესახებ, დადგენილებას მუხლის გამოცხადების თაობაზე და პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო დოკუმენტებს. მოსამართლე პროკურორის მონაწილეობით ეროპიროვნულად განიხილავს შუამდგომლობას მისი წარდგენიდან არა უგვიანეს 24 საათისა. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს აქვს სასამართლო სხდომაში მონაწილეობის უფლება."

16. 145-ე მუხლის მე-8 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"8. გამოძიებულს, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად და დასაზუსტებლად, დაკავების კანონიერების შესამოქმედებლად."

17. 180-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამოღებულ იქნას;

18. მე-200 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. მოსამართლის ბრძანება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ მისი გამოცემიდან ან აღსრულებიდან 72 საათში ვადაში, ხოლო დადგენილება ქონებისათვის ყადაღის დადებაზე უარის თქმის შესახებ მისი გამოტანიდან 48 საათის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების აღსრულებას."

19. 219-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. რეაბილიტაციის საფუძველია გამამართლებელი განაჩენი, აგრეთვე მოსამართლის ან პროკურორის დადგენილება (განჩინება), სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ ამ კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" და "გ" ქვეპუნქტებში და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით, აგრეთვე საიდეოინო სასიათის ითვლებითი ღონისძიების გამოყენების თაობაზე უკანონო სასამართლო განჩინების (დადგენილების) გაუქმების შესახებ."

20. 227-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. თუ რეაბილიტაციის საფუძველი გამოვლინდა სასამართლოში, მოსამართლემ (სასამართლომ) სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ გამამართლებელ განაჩენში ან განჩინებაში (დადგენილებაში), რომელსაც რეაბილიტაცია მოხდევს, უნდა ცნოს რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ყველა სახის ზიანის ანაზღაურების უფლება, განაჩენის ან განჩინების (დადგენილების) ასლი რეაბილიტირებულს უნდა გადაეცეს ხელზე ან ვაგუჩაუნოს ფოსტით. მას განემარტება, რომ ზიანის ანაზღაურებისა და უფლებების აღდგენის შესახებ სასამართლოში განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გამამართლებელი განაჩენის ან რეაბილიტაციის სხვა აქტის გამოტანის დღიდან 6 თვის ვადაში. რეაბილიტირებულს უფლება აქვს მიმართოს რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოტან სასამართლოს, რომელიც რეაბილიტირებულის განცხადების მიხედვით განსაზღვრავს მისთვის მიყენებული ზიანის ოდერობას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მოითხოვს საფინანსო ორგანოებისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების განაგარიშებას. თუ სასამართლომ საქმე შეწყვიტა მისი საკასაციო წესით განხილვისას, ზიანის ოდერობას განსაზღვრავს სასამართლო, რომელმაც განაჩენი გამოიტანა, ოღონდ სხვა შემადგენლობით."

21. 242-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. ამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს გამოძიების ან პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება პროკურორის მიმდინარე ახრით უკანონო და დაუსაბუთებელია, კერძოდ:

ა) სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება;

ბ) ექსპერტიზის დაიშენაზე უარის თქმის შესახებ გამოძიებლის ან პროკურორის დადგენილება (73-ე მუხლი)."

ა) პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-11 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ ბრძანების კანონიერება და დასაბუთებულობა შეიძლება გასაჩივრდეს მხარეთა მიერ ზემდგომ სასამართლოში, მოცემული ბრძანება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცემისთანავე. ნაწილით გათვალისწინებული წესით ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის გადაწყვეტილება პატიმრობის ან შინაპატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ საჩივრდება შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში. სასამართლო მხარეთა საჩივარს იხილავს მიღებიდან 24 საათში.“

**23. 259-ე მუხლის:**

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილი პირის დაკავებისთანავე უნდა ეცნობოს შესაბამის რაიონულ პროკურორს, რომელიც 48 საათში შუამდგომლობით მიმართავს დაკავების ადგილის მიხედვით შესაბამის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს პირის მიმართ საექსტრადიციო პატიმრობის შეფარების მოთხოვნით. სასამართლო აღნიშნულ საკითხს განიხილავს ამ კოდექსის 140-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ან საოლქო სასამართლოში პირისათვის გადაწყვეტილების გადაცემიდან 15 დღის ვადაში, რომელიც საჩივარს განიხილავს 10 დღის ვადაში.“

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი რაიონული სასამართლოს მოსამართლე 2 თვემდე, ხოლო ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია კიდევ 2 თვემდე აგრძელებენ საექსტრადიციო პატიმრობის ვადას.“

**24. 259-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-7 ნაწილი:**

„7. ამ მუხლით გათვალისწინებულ საექსტრადიციო პატიმრობის მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 243-ე მუხლი.“

**25. 290-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამოღება, ჩხრეკა, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება გადაუღებელ შემთხვევაში შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე, გამოძიებლის ან პროკურორის დადგენილებით, რის შესახებაც მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედება, უნდა ეცნობოს 24 საათის განმავლობაში და გადაეცეს სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლებიც ასაბუთებენ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების აუცილებლობას. მოსამართლე მასალების შემოსვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, პროკურორის მონაწილეობით ამოწმებს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას. მოსამართლე უფლებამოსილია განმარტების მისაცემად გამოიძახოს ის პირი, რომელმაც ამოღება, ჩხრეკა და საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება მფლობელ პირთან ნების საწინააღმდეგოდ, მოსამართლის ბრძანების გარეშე ჩატარა. მასალების განხილვის შემდეგ მოსამართლეს გააჩნძეს დადგენილება:

ა) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ;

ბ) ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების უკანონოდ ცნობისა და ამ მოქმედებით მიღებული მტკიცებულებათა დაუშვებლობის შესახებ.“

**26. 292-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. შუამდგომლობას საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ერთპიროვნულად იხილავს მოსამართლე წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით.“

**27. 293-ე მუხლს დამატოს შემდეგი შინაარსის მე-3 ნაწილი:**

„3. მოსამართლის ბრძანება საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ან დადგენილება ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის შესახებ მისი გამოცემიდან არ

აღსრულებიდან 72 საათში, ხოლო დადგენილება საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ - მისი გამოტანიდან 48 საათში შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 243-ე მუხლით დადგენილი წესით საოლქო ან ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების საგამოძიებო კოლეგიაში. გასაჩივრება არ აჩერებს ბრძანების აღსრულებას."

28. 318-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. თუ არსებობს ამოღების ან ჩხრეკის საფუძველი, პროკურორმა ან პროკურორის თანხმობით გამოძიებულმა უნდა მიმართოს სასამართლოს წინასწარი გამოძიების ადგილის მიხედვით მოტივირებული შუამდგომლობით შესაბამისი საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად ნებართვის თაობაზე მოსამართლის ბრძანების მისაღებად."

29. 334-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. დათვლიერებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტი და ექსპერტი აგრეთვე ექვითანილი, ბრალდებული, დამცველი, სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები."

30. 404-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. თუ ამ მუხლის პირველ ნაწილში მოითხოვული პროცესის მონაწილეები უარს იტყვიან დანიშნულ დამცველზე, გამოძიებელი პირადად მათ წარუდგენს საქმის მასალებს გასაცნობად. პროცესის მონაწილეთა მიერ საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შემთხვევაში გამოძიებელი ადგენს ოქმს საქმის მასალების გაცნობაზე უარის თქმის შესახებ. რომელზედაც ხელს აწერს პროცესის შესაბამისი მონაწილე. ამის შემდეგ პროკურორი უფლებამოსილია შეადგინოს საბრალდებო დასკვნა."

31. 409-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. საბრალდებო დასკვნა წარმოადგენს ბრალდებულისადმი წაყენებული ბრალდების მოკლე წერილობით აღწერას და განსასჯელის სამართალში მიცემის საფუძველს."

32. 412-ე-413-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 412, შემოსულ საქმეზე პროკურორის მიერ გადასაწყვეტი საკითხები

გამომძიებლისაგან შემოსული საქმის განხილვისას პროკურორი ვალდებულია შეაზომოს:

ა) იყო თუ არა ქმედება, რომელიც ბრალდებულს ერაცხება, და არის თუ არა ამ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობა;

ბ) ხომ არ არსებობს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის საფუძველები;

გ) ყოველმხრივი, სრული და ობიექტურია თუ არა წინასწარი გამოძიება;

დ) დასაბუთებულია თუ არა წაყენებული ბრალდება საქმეში არსებული მტკიცებულებებით;

ე) წარდგენილი აქვს თუ არა პირს ბრალდება ყველა დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელიც წინასწარმა გამოძიებამ დაადგინა;

ვ) მიცემულია თუ არა პასუხისმგებლობაში როგორც ბრალდებული, ასევე დანაშაულის ჩადენაში მხილებული ყველა პირი;

ზ) სწორია თუ არა დანაშაულის კვალიფიკაცია;

თ) სწორად არის თუ არა არჩეული აღკვეთის ღონისძიება;

ი) მირებულია თუ არა ზომები წარდგენილი სამოქალაქო სარჩელისა და შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად;

კ) გამოვლენილია თუ არა მიზეზები და პირობები, რომლებმაც ხელი შეუწვევს დანაშაულის ჩადენას, და მიღებულა თუ არა ზომები მათ აღსაკვეთად;

მ) დატულია თუ არა წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ ამ კოდექსის ყველა სხვა მოთხოვნა."

მუხლი 413. პროკურორის გადაწყვეტილება შემოსული საქმის გამო.

პროკურორი ვალდებულია 3 დღე-ღამის ვადაში განიხილოს შემოსული საქმე და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) თუ მიიჩნევს, რომ არსებობს საფუძველი საქმის სასამართლოში გადასაგზავნად, შეადგინოს საბრალდებო დასკვნა;

ბ) დაუბრუნოს საქმე თავისი წერილობითი მოთხოვნებით გამოძიებას, გამოძიების ჩასატარებლად;

გ) შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და შეაღებოს შესაბამისი დადგენილებით დადგენილი წესით.

33. 415-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 415. ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ბრალდებით

თუ აუცილებელია ბრალდების შეცვლა უფრო მძიმე ან ისეთი ბრალდებით, რომელიც თავდაპირველი ბრალდებისაგან არსებითად განსხვავდება ფაქტობრივი გარემოებით. პროკურორი საქმის უბრუნებს გამოძიებულს ახალი ბრალდების წარსადგენად ან უშუალოდ წარუდგენს ბრალდებულს ახალ ბრალდებას."

34. 416-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ პროკურორი საბრალდებო დასკვნის ასლს აბრებს ბრალდებულს. ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში - დამცველს, აგრეთვე დაზარალებულს. სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოსასწავლეს და მათ წარმომადგენლებს. თუ ბრალდებული თანამდებობის პირი ან რეკრუტია და თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას. საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩაბარდეს მის დამცველს. ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროკურორი სისხლის სამართლის საქმეს განსჯადობის მიხედვით უკვახის შესაბამის სასამართლოს.

3. პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენიდან არა უკვიანეს 48 საათისა საქმე განსჯადობის მიხედვით უნდა გადაეცალოს შესაბამის სასამართლოს."

35. 417-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად საკმაო საფუძვლის არსებობისას მოსამართლე (სასამართლო), წინასწარ არ წყვეტს რა ბრალეულობის საკითხს. გამოატანს დადგენილებას (განჩინებას) განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ."

ბ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. მოსამართლეს (სასამართლოს) განმწესრიგებულ სხდომაზე გამოატანს დადგენილებას (განჩინებას) განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ. აბრუნებს საქმეს დამატებით გამოძიებისათვის, წყვეტს საქმეს წარმოებით, აბრუნებს საქმის წარმოებას ან წარმართავს საქმეს განსჯადობით, აგრეთვე წყვეტს საკითხს აღკვეთის ღონისძიების შესახებ ამ კოდექსით დადგენილი წესით. განსასჯელის სამართალში მიცემის შემთხვევაში სასამართლოს განმწესრიგებულ სხდომაზე შეუძლია საბრალდებო დასკვნიდან გამორიცხოს ბრალდების ცალკეული პუნქტი ან გამოიყენოს სისხლის სამართლის კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ, ამასთან, არ შეიცვალოს ბრალდების ფორმულირება."

36. 418-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"მუხლი 418. მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილება (განჩინება) განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ

განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებაში (განჩინებაში) უნდა აღინიშნოს: მისი შედგენის დრო და ადგილი, დასკვნა იმის შესახებ, რომ არსებობს სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის საკმაო მონაცემები. სამართალში მისაცემი პირების ზუსტი ვინაობა და იმ ქმედებათა კვალიფიკაცია, რომლებიც მათ ერაყებათ, გადაწყვეტილებები შემოსულ შუამდგომლობაზე და სასამართლო სხდომის მომზადების შესახებ."

37. 420-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"1. თუ მოსამართლე (სასამართლო) სამართალში მიცემის საკითხის განხილვის დროს დადგენს, რომ ბრალდებული (განსასჯელი) მიიძალა და მისი ადვილსამყოფელი უცნობია, იგი გამოატანს დადგენილებას (განჩინებას) ბრალდებულის მოძებნამდე სისხლისსამართლებრივი დევნის შეჩერების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალდებული (განსასჯელი) საზღვარგარეთაა და თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას."

38. 424-ე-425-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- სამართალში მოცემის საკითხის გადაწყვეტისას მოსამართლემ (სასამართლო) უნდა განიხილოს შემდეგი საკითხები თითოეული განსასჯელის მიმართ:
- ა) მოცემული სასამართლოს განსჯადა თუ არა საქმე;
  - ბ) ქმედება, რომელიც განსასჯელს უბრუნდება, შეიცავს თუ არა დანაშაულის შემადგენლობას;
  - გ) ქმედებას, რომელიც განსასჯელს უბრუნდება, სწორად აქვს თუ არა შეფარდებული სისხლის სამართლის კანონი;
  - დ) ხომ არ არის საქმეში გარემოებები, რომლებიც იწვევს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ან შეჩერებას;
  - ე) შეკრებილია თუ არა საჭირო მტკიცებულებები სასამართლო სხდომაზე საქმის განსახილველად;
  - ვ) წინასწარი გამოძიების დროს ხომ არ დარღვეულა საპროცესო კანონი;
  - ზ) შედგენილია თუ არა საბრალდებო დასკვნა 414-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად;
  - თ) სწორად არის თუ არა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება;
  - ი) მიღებულია თუ არა სამოქალაქო სარჩელის ან შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომები;
  - კ) უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მხარის შუამდგომლობა.

მუხლი 425. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო სხდომაზე განსახილველად მოზარდებისთან დაკავშირებით გადასაწყვეტი საკითხები თუ მოსამართლე (სასამართლო) მიიჩნევს, რომ არსებობს საქმით საფუძველი განსასჯელის სამართალში მისაცემად, მან უნდა გადაწყვიტოს საკითხები, რომლებიც ეხება:

- ა) დამცველის დანიშნავს ამ კოდექსის 81-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ბ) დაზარალებულის ცნობას სამოქალაქო მოსარჩელედ, თუ სამოქალაქო სარჩელი წინასწარი გამოძიებისას არ წარდგენილია;
- გ) სამოქალაქო სარჩელის ან საპროცესო კონფისკაციის უზრუნველყოფის ზომას;
- დ) პირებს, რომლებიც დაბრუნდებიან უნდა იქნენ სასამართლო სხდომაზე, როგორც დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელი, მოპასუხე, მათი წარმომადგენლები, მოწმეები, ექსპერტები და სპეციალისტები;
- ე) დამატებითი მტკიცებულებების გამოთხოვას;
- ვ) საქმის განხილვას დახურულ სასამართლო სხდომაზე ამ კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ზ) სხდომის დროსა და ადგილს;
- თ) თარჯიმნის დაბრუნებას.

39. 426-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქმის დამატებითი გამოძიებისათვის დაბრუნებისას მოსამართლე (სასამართლო) უნდა გადაწყვიტოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეკვლის ან გაუქმების, აგრეთვე პატიმრობის ეადის გაგრძელების საკითხი ამ კოდექსით დადგენილი წესით.“

40. 429-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განსასჯელის სამართალში მოცემის შემდეგ, საქმის სასამართლო განხილვის დაწყებამდე 5 დღის ვადაში, ხოლო რთულ საქმეებზე - 10 დღის ვადაში პროკურორს, განსასჯელს, მის დამცველს და კანონიერ წარმომადგენელს, სამოქალაქო მოსარჩელეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გაეცნონ სათანადო ამონაწერები და გადაიღონ ასლები.“

41. 433-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 433. სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვის დაწყების ვადა სასამართლო სხდომაზე საქმის განხილვა უნდა დაიწყოს განსასჯელის სამართალში მოცემის შესახებ მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილების (განჩინების) გამოტანიდან არა უგვიანეს 10 დღე-ღამისა, ხოლო რთულ საქმეებზე - არა უგვიანეს 14 დღე-ღამისა.“

42. 473-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. სასამართლო გამოძიების გაუქმების ან შეწყვეტის შესახებ (მოსამართლე) განიხილავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შუა (ნაწილით) გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელის ერთი მესამედით შესაძლებლობას.

43. 475-ე მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბრალდების მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულება, რომელიც მოითხოვს საბრალდებო დასკვნის დანართსა და განსასჯელის სამართალში მიცემის შესახებ კაპიტალიზმ დადგენილებაში. ახალ მტკიცებულებათა გამოვლენისას ბრალდების მხარე, სასამართლო განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 7 დღისა, მოწინააღმდეგე მხარეს გადასცემს ამ დადგენილების ასლს. თუ ახალი მტკიცებულება გამოვლინდა სასამართლო განხილვისას, სასამართლო აცხადებს შესვენებას იმ დროით, რაც საჭიროა დაცვისათვის ამ მტკიცებულების გასაცნობად. დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების წარდგენის შემთხვევაში შეიძლება გამოცხადდეს შესვენება, რათა ამ მტკიცებულებას გაეცნოს ბრალდების მხარე.“

44. 507-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სისხლის სამართლის კანონი, რომლითაც განსასჯელი მისცეს სამართალში.“

45. 510-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 510. გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი გამამართლებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება: ბრალდების არსი, რომლითაც განსასჯელი სამართალში მისცეს; სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სასამართლოს დასკვნას განსასჯელის უდანაშაულობის შესახებ; მოტივი, რომელიც ხსნის, თუ რატომ მიიჩნევს სასამართლო არასაწმუნოდ ან არასაკმარისად მტკიცებულებას, რომელსაც ეყარებოდა განსასჯელის მიმართ წაყენებული ბრალდება, ანდა რატომ მიიჩნევს სასამართლო, რომ არ არსებობს დანაშაულის შემთხვევა, ან რომ განსასჯელის მიერ ჩადენილი ქმედება არ არის დანაშაული; სამოქალაქო სარჩელის მიმართ გადაწყვეტილების მოტივები.“

46. 563-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) განსასჯელი სამართალში არ არის მიცემული კანონით დადგენილი წესით.“

47. 596-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საქართველოს გენერალურ პროკურორს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს, თუ არსებობს შესაბამისი საფუძველი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უფლება აქვთ საკუთარი ინიციატივით წარდგინებთ მიმართონ შესაბამისად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ან ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმს სახელმწიფოსა და მოქალაქის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. თუ ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი უარყოფს საქართველოს გენერალური პროკურორის ან ამ ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მიერ შეტანილ წარდგინებას, საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია იმავე საქმეზე წარდგინებით მიმართოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.“

48. 680-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 2005 წლის 3 მაისამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოებში განსახილველად შესული სისხლის სამართლის საქმეები (გარდა იმ საქმეებისა, რომლებზეც სასამართლო გამოძიება დასრულებულია) გადაეცემა შესაბამის სასამართლოს განსჯადობის მიხედვით. 2005 წლის 3 მაისის შემდეგ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რაიონული სასამართლოს მიერ ამ ნაწილით გათვალისწინებულ საქმეებზე მიღებული შემოჯამებული გადაწყვეტილება ამ კოდექსით დადგენილი წესით ექვემდებარება გასაჩივრებას შესაბამის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში.“

ბ) მე-6 ნაწილი ამოღებულ იქნეს.

49. 680-ე მუხლის დებულების შემდეგი შინაარსის მე-2<sup>1</sup> ნაწილი:

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლეთა და მსაჯულთა მიერ 2005 წლის 3 მაისამდე და მას შემდეგ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება საკასაციო წესით გასაჩივრებას ამ კოდექსის 546-573 მუხლებით დადგენილი წესით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში.

50. ამოღებულ იქნეს 680<sup>ა</sup> მუხლი.

51. 680<sup>ა</sup> მუხლის:

ა) შათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
"მუხლი 680<sup>ა</sup> პატიმრობისა და შინაპატიმრობის დროებითი ვადები"

ბ) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
"1. ამ კოდექსის 162-ე მუხლის პირველი, მე-2-მე-4, მე-6-მე-8, მე-10 და მე-11 ნაწილების, 166-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ამოქმედებამდე მოქმედებს ამ მუხლის მე-2-მე-10 ნაწილები."

ნაწილების, 166-ე მუხლის მე-4 ნაწილის, ამოქმედებამდე მოქმედებს ამ მუხლის მე-2-მე-10 ნაწილები."

გ) მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3. წინასწარი გამოძიებისას პატიმრობის ვადა 3 თვე ექვემდებარება დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მომენტიდან. პატიმრობის ვადის დინება წყდება საბრალდებო დასკვნის შედგენის შემდეგ განსჯადობის მიხედვით სასამართლოში საქმის ჩაბარების მომენტში. თუ დაკავებული დააპატიმრეს, მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. თუ სამოქალაქო პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა მისთვის შეჩვენებული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება დაარღვია ან თუ მას უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს უფლება აქვს გასცეს ბრძანება ბრალდებულის ერთი თვით დაპატიმრების შესახებ."

52. 680<sup>ა</sup> მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 ნაწილი:

"10. შინაპატიმრობა ბრალდებულს შეიძლება დაუწესდეს არა უმეტეს 9 თვის ვადით. ამ ვადის გახელის შემდეგ აღკვეთის ეს ღონისძიება უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს."

53. 681-ე მუხლის:

ა) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. ამ კოდექსის 33-ე მუხლის მე-4 ნაწილი და 217-ე მუხლის მე-2 ნაწილის ამ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან."

ბ) მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"9. ამ კოდექსის 75-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 162-ე მუხლის პირველი, მე-2-მე-4, მე-6 მე-8, მე-10 და მე-11 ნაწილები, 166-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 401-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილი, 406-ე მუხლის მე-4<sup>ა</sup> ნაწილი, 407-ე მუხლის მე-2<sup>ა</sup> ნაწილი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

საქართველოს ორგანული კანონი  
"პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში  
ცვლილების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. "პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წელი - №46) შევიდეს შემდეგი ცვლილება და მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის "ვ)" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ვ) კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს მთავრობის წევრის, მოსამართლის, სახალხო დამცველის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურორის, პროკურატურის გამომძიებლის, პროკურატურის მრჩევლის, უმაღლესი სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენისას;"

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილის

საქართველოს კანონი  
"ოპერატიულ-სამშენობო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების  
შეტანის შესახებ

მუხლი 1. "ოპერატიულ-სამშენობო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 1999 წელი №14(21)) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და მე-7 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" და "ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიებები ტარდება მხოლოდ მოსამართლის ბრძანებით. ბრძანებას პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გასცემს იმ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიება. შუამდგომლობას, მისი მიღებიდან არა უგვიანეს 24 საათისა პროკურორის მონაწილეობით განიხილავს მოსამართლე დახურულ სასამართლო სხდომაზე. შუამდგომლობისა და მასზე დართული მასალების განხილვის, პროკურორის განმარტებების მოსმენის შემდეგ მოსამართლე იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) გასცემს ბრძანებას ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიების ჩატარების შესახებ;
- ბ) გამოიტანს დადგენილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

4. ამ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "თ" და "ი" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიებები, რომელთა ჩატარება საჭიროებს მოსამართლის ბრძანებას, გადაუღებელი აუცილებლობისას, როცა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს საქმისათვის (გამოძიებისათვის) მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას პროკურორის მოტივირებული დადგენილებით შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის ბრძანების გარეშე. ასეთ შემთხვევაში ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიების დაწყებიდან 12 სათში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არა სამუშაო დროს, მაშინ ამ დროს გასვლიდან არაუგვიანეს ერთი საათისა), პროკურორი ვალდებულია შუამდგომლობით მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ტარდება აღნიშნული ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიება. ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიების დაკანონების მოთხოვნით. სასამართლო ვალდებულია პროკურორის შუამდგომლობა განიხილოს მისი წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში დახურულ სასამართლო სხდომაზე. პროკურორის განმარტებების მოსმენის შემდეგ მოსამართლე ამოწმებს ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიების კანონიერებას. ასევე მოცემული ღონისძიების გადაუღებელი ჩატარების აუცილებლობას და გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დადგენილება:

- ა) ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიების კანონიერად ცნობის შესახებ;
- ბ) ოპერატიულ-სამშენობო ღონისძიების უკანონოდ ცნობის, მისი შედეგების გაუქმებისა და ამ ღონისძიებით მოპოვებული მონაცემების განადგურების შესახებ."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი